

დოკუმენტური აკრედიტივი - საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმა

თამარ ზამბახიძე*

1. შესავალი

საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის პროცესში სულ უფრო იზრდება მენარმეთა ინტერესი უცხოურ კომპანიებთან სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების გასაღრმავებლად. ასეთ პირობებში აუცილებელია მენარმეთა საინფორმაციო უზრუნველყოფა მათი ბიზნესის როგორც საქართველოში, ისე საქონლის და მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე განსახორციელებლად. წინამდებარე ნაშრომი მათ დაეხმარება საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობების ერთ-ერთ რთულ სფეროში ორიენტირებაში, კერძოდ, საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმის — აკრედიტივის¹ — დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზში და ანგარიშსწორებისას მათთვის ხელსაყრელი სახის აკრედიტივის სწორად არჩევაში.

საერთაშორისო ხასიათის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელების პროცესში იდება მრავალი ხელშეკრულება, რომელთა მხარეების ადგილსამყოფელი, ასევე ხელშეკრულების დადების და შესრულების ადგილი არ ემთხვევა ერთმანეთს. სუბიექტები, როგორც იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი, საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში ერთვებიან სხვადასხვა მიზეზით: შეიძლება საჭირო იყოს მასალის თუ საქონლის შექმნა ან მომსახურებით სარგებლობა საზღვარგარეთ, თუ ყოველივე ამის მიღება შეუძლებელია ან არახელსაყრელია ადგილობრივ ბაზარზე, ასევე შესაძლოა პირის საქმიანობა მიმართული იყოს საქონლის უცხო ქვეყნის ბაზარზე რეალიზაციით შემოსავლის მიღებაზე, ზოგჯერ კი შემოსავლის წყარო ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის შუამავლობაა. ასეთ ოპერაციებს, როგორც წესი, თან ახლავს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები.

საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების წარმატებით განხორციელება განპირობებულია მრავალი ფაქტორით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ანგარიშსწორების მონაწილეთა გადახდისუნარიანობა. ექსპორტიორმა აუცილებლად უნდა მიიღოს სყიდვითი ფასი სრული ოდენობით განსაზღვრულ ვადაში. ურთიერთობები, რომლებშიც მონაწილეობენ იმპორტიორი და ექსპორტიორი, ასევე მათი ვალდებულებების და პასუხისმგებლობის მოცულობა პირდაპირ არის დაკავშირებული საერთაშორისო ანგარიშსწორების კონკრეტული ფორმის არჩევასთან.

ანგარიშსწორების ფორმა — ეს არის საგადასახადო და საქონელგანმკარგავი დოკუმენტების გაფორმების, გადაცემის, დამუშავების, ასევე გადახდის განხორციელების ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთაშორისო პრაქტიკა.² უნაღდო ანგარიშსწორების კონკრეტული ფორმის შერჩევა, რომლის საფუძველზეც მოხდება ანგარიშსწორება საერთაშორისო-სავაჭრო ხელშეკრულების მიხედვით, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. საერთაშორისო პრაქტიკის

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო კათედრის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

¹ Тихомиров (ред.), Юридическая Энциклопедия, Москва, 1997, 25. იხ. „აკრედიტივი“-ლათ. *accreditivus* – ნდობითი; ინგლ. *letter of credit, accreditive*; გერმ. *Akkreditiv, Kreditbrief*; ფრან. *Accreditif*.

² Белоглазова/Кроливещкая (ред.), Банковское дело, Санкт-Петербург/Москва/Харьков/Минск, 2002, 89.

სტატიები

ანალიზი მოწმობს, რომ ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ანგარიშსწორების ისეთი ფორმა, როგორცაა დოკუმენტური აკრედიტივი.

აკრედიტივი წარმოადგენს ანგარიშსწორების სპეციფიკურ და, ამასთან, საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მეტად პერსპექტიულ ფორმას, რომელიც მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება როგორც საშინაო, ისე საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ქართველი მენარმეები მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან საერთაშორისო ხასიათის საანგარიშსწორებო-საფინანსო ოპერაციებში, მაგრამ თუ საქართველოს კომერციული ბანკების აკრედიტივით ანგარიშსწორების შედარებით მწირ პრაქტიკას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ გარდა ცალკეული გამონაკლისისა, პრაქტიკულად გამოიყენება აკრედიტივის ისეთი სახე, როგორცაა გამოუთხოვარი დადასტურებული აკრედიტივი.

2. დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორების მარეგულირებელი აქტები

წინამდებარე წერილის მიზანია საერთაშორისო ანგარიშსწორების სხვა ფორმებთან შედარებით დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორების უპირატესობის განსაზღვრა მისი ძირითადი სახეებისა და ზოგიერთი პრობლემური საკითხის ანალიზის საფუძველზე.

აკრედიტივით ანგარიშსწორების გამოყენების წარმატება პირდაპირ არის დაკავშირებული შესაბამისი ნორმატიული ბაზის განვითარების დონეზე. საერთაშორისო საანგარიშსწორებო ურთიერთობები რეგულირდება როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა ნორმატიული აქტებით, ისე საქმიანი ბრუნვის წესებითა და ჩვეულებებით. ამასთან, საბანკო ოპერაციების უნივერსალურობა განაპირობებს საერთაშორისო ანგარიშსწორების წესების უნიფიკაციას. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო სავაჭრო პალატამ შეიმუშავა „უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები დოკუმენტური აკრედიტივებისათვის“³ (შემდგომში უნიფიცირებული წესები), რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 1 იანვრიდან. მასში აისახა საბანკო სექტორის საანგარიშსწორებო ურთიერთობებში განხორციელებული პროგრესული ძვრები, რამაც თავის მხრივ განაპირობა დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორების ფორმის ფართო გამოყენება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ უნიფიცირებული წესები ატარებს რეკომენდაციულ ხასიათს და წარმოადგენს საქმიანი ბრუნვის წესების არაოფიციალურ კოდიფიკაციას, მსოფლიოს ბანკების უმეტესობა სწორედ მის საფუძველზე ახორციელებს დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული წესები და ჩვეულებები წარმოადგენს მრავალი ქვეყნის შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ბაზას.⁴

უნიფიცირებული წესები განსაზღვრავს აკრედიტივის ცნებას და მის სახეებს, მისი შესრულების წესსა და საშუალებებს, ბანკების ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას, მოთხოვნებს აკრედიტივის საფუძველზე წარმოდგენილი დოკუმენტებისათვის, ასევე მათი წარმოდგენის წესს. თუ ბანკი იყენებს უნიფიცირებულ წესებს, მაშინ მისი დებულებები როგორც ბანკისათვის, ისე კლიენტებისათვის სავალდებულოა.

საქართველოში აკრედიტივით ანგარიშსწორების ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლი, რომელშიც დოკუმენტური (სასაქონლო) აკრედიტივის მხოლოდ დეფინიციას მოცემული, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის № 220 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს უნაღდო ანგარიშსწორების წესები“.⁵ აღნიშნული წესები ითვალისწინებს ანგარიშსწორების შემდეგ

³ Publication No. 500 of the International Chamber of Commerce, 1993.

⁴ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 867-873 მუხლები.

⁵ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 43, 1999, 50.

სტატიები

ფორმებს: საგადასახადო დავალებები, აკრედიტივები, საგადასახადო მოთხოვნა-დავალებები, ჩეკები, საინკასო დავალებები. საანგარიშსწორებო ურთიერთობების მარეგულირებელ აქტს აგრეთვე წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 2 სექტემბრის № 222 ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი ინსტრუქცია საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საანგარიშსწორებო, საკორესპონდენტო, სავალუტო, საბიუჯეტო, მიმდინარე და სხვა ანგარიშების (დროებითი, საკასო მომსახურების) გახსნის თაობაზე“.⁶

ანგარიშსწორების ფორმები უნდა განვასხვავოთ საანგარიშსწორებო დოკუმენტებისაგან. ამ უკანასკნელთ შეიძლება ჰქონდეთ ისეთივე დასახელება, როგორც ანგარიშსწორების შესაბამის ფორმას (მაგ.: საგადასახადო დავალება, აკრედიტივი, ჩეკი), მაგრამ ისინი ასრულებენ სააღრიცხვო-საბუღალტრო და საინფორმაციო ფუნქციებს.⁷

3. აკრედიტივის ცნება. აკრედიტივით ანგარიშსწორების სამართლებრივი კონსტრუქცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს)⁸ ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა ან გაანადღოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური. ამდენად, დოკუმენტური აკრედიტივი არის ბანკის მყარი ვალდებულება შეთანხმებულ ვადაში გადაუხადოს გამყიდველს განსაზღვრული ფულადი თანხა (ან მიანიჭოს ასეთი გადახდის უფლებამოსილება სხვა ბანკს (შემსრულებელ ბანკს)) სათანადო დოკუმენტების ბანკში დროულად წარდგენის შემთხვევაში, რომლებიც მოწმობენ ტვირთის გადატვირთვას (მომსახურების განევას) და აკრედიტივით გათვალისწინებული პირობების ზუსტად შესრულებას.

აკრედიტივით ანგარიშსწორებისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება არა საქონლის, არამედ დოკუმენტების მოძრაობას, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება საქონლის (სამუშაოს, მომსახურების და ა.შ.) გადაადგილების კონტროლი.

დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე ანგარიშსწორების ოპერაცია მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

-ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განისაზღვრება მიწოდებული საქონლისათვის (განუხლები მომსახურებისათვის) ანგარიშსწორების ფორმა. თუ ანგარიშსწორება უნდა მოხდეს დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე, მხარეებმა უნდა განსაზღვრონ აკრედიტივის სახე, მისი შესრულების ვადა და ადგილი, უფლებამოსილი ბანკები და ა.შ.;

-მომდევნო ეტაპზე კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) მოთხოვნის საფუძველზე ბანკი-ემიტენტი ხსნის აკრედიტივს. აკრედიტივის გახსნის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, როგორცაა: რემიტენტის დასახელება და აკრედიტივის თანხა; მისი გამოყენების ადგილი და ფორმა; საქონელი, რომლის ანგარიშსწორებისთვისაც გაიხსნა

⁶ იხ.: იქვე.

⁷ *Сергеев/Толстой* (ред.), *Гражданское Право, Часть 2*, Москва, 1998, 464.

⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნიფიცირებული წესები, განსხვავებით სამოქალაქო კოდექსისაგან, სუბიექტს, რომლის მიმართაც უნდა მოხდეს გადახდა, უწოდებს არა რემიტენტს, არამედ ბენეფიციარს. ამასთან, უნიფიცირებულ წესების მე-14 მუხლში იმ ბანკის აღსანიშნავად, რომლისაგანაც ხდება დოკუმენტების მიღება და რომელიც ახორციელებს გადახდას, ნეგოციაციას, ტრატების აქცეპტს, გამოიყენება ტერმინი „ბანკი-რემიტენტი“. სასურველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლში ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო „ბენეფიციარის“ და „რემიტენტის“ ცნებები.

სტატიები

აკრედიტივი; დოკუმენტაცია, რომელიც უნდა წარედგინოს ბანკს; გადატვირთვის და დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები;

-შემდგომში აუცილებელია ექსპორტიორისათვის შეტყობინება, ანუ ავიზოს გაგზავნა აკრედიტივის გახსნაზე. ამასთან, ბანკი ემიტენტი ექსპორტიორს აკრედიტივს (ავიზოს, შეტყობინებას აკრედიტივის შესახებ) უგზავნის, როგორც წესი, ექსპორტიორის მომსახურე ბანკის საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, ახორციელებს შეტყობინების ოპერაციას;

- ავიზოს გამცემი ბანკი იღებს ასევე ავიზოს თავის ეგზემპლარს, რადგან იგი უფლებამოსილია მიიღოს ექსპორტიორისაგან აკრედიტივით გათვალისწინებული დოკუმენტები და განახორციელოს მათი შემოწმება. თუ იგი განისაზღვრება შემსრულებელ ბანკად, მაშინ ბუნებრივია, გადახდასაც იგი განახორციელებს;

- აკრედიტივის (ავიზოს) მიღების შემდეგ ექსპორტიორი ამოწმებს მის შესაბამისობას იმპორტიორთან დადებულ კონტრაქტში შეთანხმებულ აკრედიტივის პირობებთან. თუ შეუსაბამობა არ გამოვლინდა, იგი იწყებს ვალდებულებების შესრულებას (მაგ.: ტვირთის გადატვირთვა);

-გადაამზიდველისაგან სატრანსპორტო დოკუმენტების მიღების შემდეგ ექსპორტიორი აკრედიტივში ჩამოთვლილ სხვა დოკუმენტებთან ერთად მათ წარადგენს შემსრულებელ ბანკში. დოკუმენტაციის წარდგენის ვადა ასევე განისაზღვრება აკრედიტივის პირობებით. თუკი აღნიშნული ვადა განსაზღვრული არ არის, ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას დოკუმენტების მიღებაზე გადატვირთვიდან 21 დღის გასვლის შემდეგ.⁹ თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში დოკუმენტები უნდა წარმოდგენილ იქნეს არაუგვიანეს აკრედიტივის ვადის გასვლისა;¹⁰

-უკვე ამის შემდეგ, შემსრულებელი ბანკი ამოწმებს წარმოდგენილ დოკუმენტებს არაუმეტეს 7 საბანკო დღის განმავლობაში;¹¹

-ბანკი-ემიტენტი იმპორტიორის თანხების ჩამოჭრას ახდენს მისი ანგარიშის დებეტირების გზით ან (აკრედიტივის გახსნის პირობების შესაბამისად) ხსნის თანხას წინასწარ დეპონირებული ანგარიშიდან. დოკუმენტების შემოწმების შემდეგ ბანკი-ემიტენტი თანხას ურიცხავს ექსპორტიორის ბანკს;

-და ბოლოს, შემსრულებელი ბანკი თანხას ურიცხავს ექსპორტიორს;

-იმპორტიორი ბანკი-ემიტენტისაგან დოკუმენტების მიღების მომენტიდან ითვლება საქონლის მესაკუთრედ.

აკრედიტივი ამ დროს ატარებს არა მარტო ანგარიშსწორების ფორმის სახეს, არამედ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციასაც.¹² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტივით ანგარიშსწორების ეს კონსტრუქცია ზოგადი ხასიათისაა და აკრედიტივის კონკრეტული სახის არჩევისას გარკვეულწილად იცვლება.

დოკუმენტური აკრედიტივის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მისი მრავალფეროვნება, რაც შესაძლებელს ხდის, კონკრეტულ სიტუაციაში მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით მისი ისეთი ფორმის შერჩევას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ მოთხოვნებს.

⁹ უნიფიცირებული წესების 43-ე მუხლის „ა“ პუნქტი.

¹⁰ იქვე.

¹¹ უნიფიცირებული წესების მე-13 მუხლის „ბ“ პუნქტი.

¹² შენგელია ახვლედიანი/ჭანტურია/ჯორბენაძე/ხეცურიანი/ნინიძე/შენგელია/ზოიძის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში, ნივნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, მუხლები 755-1008, „სამართალი“, 2001, 210.

4. აკრედიტივების კლასიფიკაცია

აკრედიტივების კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. იმის მიხედვით, შეიძლება თუ არა აკრედიტივი გამოთხოვილი იქნეს ბანკი-ემიტენტის მიერ, აკრედიტივი შეიძლება იყოს გამოთხოვითი და გამოუთხოვარი.¹³ აკრედიტივში მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული იგი გამოთხოვითია თუ გამოუთხოვარი. თუ მასში ასეთი დათქმა არ არის, აკრედიტივი ჩაითვლება გამოუთხოვარად.

გამოთხოვითი აკრედიტივი შეიძლება შეიცვალოს ან ანუღირებულ იქნას ბანკი-ემიტენტის მიერ ნებისმიერ მომენტში ბენეფიციარისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.¹⁴

გამოთხოვითი აკრედიტივი ბენეფიციარისათვის მეტად არახელსაყრელია, ამიტომ მისი გამოყენების სფერო შედარებით უმნიშვნელოა. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული უნდობლობა საქართველოს საბანკო სისტემისადმი, რაც განაპირობებს იმ ფაქტორს, რომ უცხოელი ექსპორტიორები ქართველ იმპორტიორებთან ურთიერთობისას უარს ამბობენ გამოთხოვითი აკრედიტივით ანგარიშსწორების ფორმაზე.

აკრედიტივის სრული ან ნაწილობრივი გამოთხოვისას ან მისი პირობის შეცვლისას აკრედიტივის დავალების მიმცემი ბანკ-ემიტენტს წარუდგენს განკარგულებას სამ ეგზემპლარად. განკარგულების პირველი ეგზემპლარი რჩება ბანკ-ემიტენტთან, ხოლო ორი ეგზემპლარი, არა უგვიანეს მისი მიღების მომდევნო სამუშაო დღისა, გადაიგზავნება შემსრულებელ ბანკში. განკარგულების ერთ ეგზემპლარს შემსრულებელი ბანკი გადასცემს თანხების მიმღებს, ხოლო მეორე წარმოადგენს საფუძველს ფულის დასაბრუნებლად ან აკრედიტივის პირობების შესაცვლელად.¹⁵

ნიშანდობლივია, რომ გამოთხოვითი აკრედიტივით ანგარიშსწორება სასურველია ისეთ შემთხვევაში, როცა: ექსპორტიორის მიერ საქონლის გადატვირთვა ხდება ნაწილ-ნაწილ; გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი ცალკეული ნაწილისათვის და აკრედიტივი ფარავს კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა გადატვირთვას. თუ იმპორტიორი უკმაყოფილო იქნება საქონლით, ვთქვათ, რომელიც მან მიიღო პირველი პარტიის სახით, მას შეუძლია აკრედიტივის გამოთხოვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნიფიცირებული წესები შეიცავს გამოთხოვითი აკრედიტივით ანგარიშსწორებისას შემსრულებელი ბანკის ინტერესების დაცვის გარკვეულ გარანტიებს. კერძოდ, თუ შემსრულებელმა ბანკმა განახორციელა გადახდა წარმოდგენილი დოკუმენტების სანაცვლოდ მანამ, სანამ მიიღებდა შეტყობინებას აკრედიტივის გამოთხოვის შესახებ, ბანკი-ემიტენტი ვალდებულია აუნაზღაუროს მას ამასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.¹⁶

რაც შეეხება გამოუთხოვარ აკრედიტივს, იგი არ შეიძლება შეიცვალოს ან ანუღირებულ იქნეს ბენეფიციარის თანხმობის გარეშე. როგორც ცივილურ ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ ხოლმე, აკრედიტივის გამოუთხოვარი ხასიათი იცავს ბენეფიციარს აკრედიტივის დავალების მიმცემის ან ბანკი-ემიტენტის თვითნებობისა და თაღლითობისაგან, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სტაბილურობას.¹⁷ სწორედ ამიტომ, რომ გამოუთხოვარი აკრედიტივი ითვალისწინებს ექსპორტიორის ინტერესების მაქსიმალურ დაცვას, რადგან ბანკი-ემიტენტი

¹³ უნიფიცირებული წესების მუხლები 6-10.

¹⁴ უნიფიცირებული წესების მე-8 მუხლის „ა“ პუნქტი.

¹⁵ *ჟრაიშვილი*, *Банковское Право*, Москва, 2002, 306.

¹⁶ უნიფიცირებული წესების მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტი.

¹⁷ *Бабикина*, «Виды Документарных Аккредитивов согласно Унифицированным Правилам и Обычаям для Документарных Аккредитивов» в *Хозяйство и Право*, № 1, 1999, 30.

იდლევა გადახდის გარანტიას ისეთ შემთხვევაშიც, როცა მყიდველი შეცვლის თავის მოსაზრებას. ამდენად, ექსპორტიორი აკრედიტივის ყველა ვადის და პირობის დაცვის შემთხვევაში ეყრდნობა ბანკ-ემიტენტს და არა იმპორტიორის პატიოსნებას.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტიორმა შეიძლება გაითვალისწინოს დამატებითი გარანტია თავისი ქვეყნის ბანკის მიერ აკრედიტივის დადასტურების ფორმით. ასეთი ბანკი იწოდება დამადასტურებელ ბანკად, აკრედიტივი კი, თავის მხრივ, იქცევა დადასტურებულ გამოუთხოვარ აკრედიტივად. ასეთი აკრედიტივით ანგარიშსწორებისას ექსპორტიორი პრაქტიკულად დარწმუნებულია, რომ გადახდა აუცილებლად განხორციელდება, თუ იგი თავად დაიცავს აკრედიტივის მოთხოვნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დადასტურებული აკრედიტივით ანგარიშსწორებისას იზრდება საბანკო საკომისიო ანაზღაურების ოდენობაც. იმ მომენტიდან, როდესაც დამადასტურებელი ბანკი შეატყობინებს ბანკ-ემიტენტს და ბენეფიციარს დადასტურების შესახებ, ხდება სოლიდარული მოვალე აკრედიტივის შესრულებაზე ბანკ-ემიტენტთან ერთად. ამდენად, იგი აკრედიტივით ანგარიშსწორებაზე სოლიდარულად აგებს პასუხს ბანკ-ემიტენტთან ერთად. ასეთ აკრედიტივში ყველა ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ დამადასტურებელი ბანკის თანხმობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ საუბარია მსხვილ გარიგებებზე, ექსპორტიორი ითხოვს, რომ აკრედიტივი დაადასტუროს ე.წ. პირველი კლასის ბანკმა, რომელსაც აქვს კარგი ფინანსური რეპუტაცია და ცნობილია საქმიან წრეებში.¹⁸

აკრედიტივების კლასიფიკაცია შესაძლებელია მათი შესრულების ხერხის მიხედვითაც: შესრულება შეიძლება განხორციელდეს სათანადო დოკუმენტის წარმოდგენისას. აკრედიტივის ეს სახე მეტად ხელსაყრელია მხარეთა შორის ერთჯერადი გარიგების დროს, რომელიც არ ითვალისწინებს ხანგრძლივ თანამშრომლობას.

შესრულება (ანგარიშსწორება) შეიძლება განხორციელდეს ბენეფიციარის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენიდან განსაზღვრული ვადის გავლის შემდეგ. აკრედიტივის ეს სახე მეტად ხელსაყრელია აკრედიტივის დავალების მიმცემისათვის და შედარებით ნაკლებად ხელსაყრელია ბენეფიციარისათვის. გარდა აღნიშნულისა, აკრედიტივის შესრულება შეიძლება მოხდეს გადმოპირებული თამასუქების აქცეპტით, რომლებიც წარმოდგენილია ბენეფიციარის მიერ. ასეთ დროს შემსრულებელი ბანკი (აქცეპტანტი) აცხადებს თანხმობას გაანაღდოს გადმოპირებული თამასუქი განსაზღვრულ ვადაში ბენეფიციარის პირველი მოთხოვნისთანავე.

და ბოლოს, შემსრულებელმა ბანკმა შეიძლება განახორციელოს ბენეფიციარისაგან გადმოპირებული თამასუქების ნეგოციაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეგოციაცია არის ბენეფიციარის (ექსპორტიორის) მიერ წარმოდგენილი ტრატების აღრიცხვა.

თამასუქის აღრიცხვა არის სპეციფიკური საბანკო ოპერაცია, რომლის დროსაც ბანკი ყიდულობს თამასუქს, რის შედეგადაც მასზე გადახდის თამასუქის საფუძველზე გადახდის მოთხოვნის უფლება. რადგან თამასუქის მფლობელი, რომელმაც წარუდგინა ბანკს თამასუქები აღსარიცხავად, დაუყოვნებლივ იღებს თამასუქის საფუძველზე გადახდას გადახდის ვადის დადგომამდე, მისთვის ეს ფაქტიურად წარმოადგენს ბანკისაგან კრედიტის მიღებას.¹⁹ თამასუქების აღრიცხვას იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ თამასუქების „დისკონტირებასაც“ (ფასდაკლებას) უწოდებენ. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ბანკი თამასუქებს ყიდულობს თამასუქის თანხაზე ნაკლები ფასით, რათა შემდეგ მიიღოს გადახდა თამასუქის საფუძველზე და მიიღოს შემოსავალი თამასუქის თანხასა და მისი შეძენის ფასს შორის განსხვავების სახით.²⁰ აღსანიშნავია, რომ ტრატების აქცეპტი და ნეგოციაცია უზრუნველყოფს ექსპორტიორისათვის სწრაფ გადა-

¹⁸ Белов, Международное Предпринимательское Право, Москва, 2001, 81.

¹⁹ Колесников/Кроливещкая (ред.), Банковское дело, Москва, 1995, 259.

²⁰ Сергеев/Толстой (ред.), Гражданское Право, Часть 2, 469.

სტატიები

ხდას, იმპორტიორისათვის კი გადახდის გადავადებას.²¹ აკრედიტივის შესრულება თამასუქების აქცეპტით ან ნეგოციაციით ერთნაირად ხელსაყრელია როგორც კლიენტისათვის, ისე ბანკებისათვის. მენარმე, რომელიც ახორციელებს ანგარიშსწორებას თამასუქით, სტაბილური ეკონომიკური სიტუაციის პირობებში ახორციელებს ანგარიშსწორებას სხვადასხვა გარიგებაზე ისე, რომ არ ხდება ნაღდი ფულის ბრუნვა. თავის მხრივ, სააღრიცხვო ოპერაციების სწორად წარმართვის პირობებში თამასუქის პორტფელი წარმოადგენს ბანკის საიმედო აქტივს, რომელიც უფრო მყარია, ვიდრე სხვა ფასიანი ქაღალდები, მაგალითად აქციები. თამასუქის უპირატესობას წარმოადგენს ისიც, რომ მას აქვს ვადების მიხედვით ზუსტად განსაზღვრული ლიკვიდურობა.²²

დოკუმენტური აკრედიტივები გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში არა მარტო იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენს ანგარიშსწორების უსაფრთხო ფორმას, არამედ იმიტომაც, რომ მათ შეიძლება უზრუნველყონ ექსპორტიორების და იმპორტიორების მოკლევადიანი დაფინანსება. აკრედიტივი ექსპორტიორს აძლევს შესაძლებლობას უცხოელ მყიდველს (იმპორტიორს) მიანიჭოს კრედიტი განსაზღვრული ვადით და ამასთანავე, მიიღოს გადახდა აკრედიტივის პირობების შესაბამისად დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.²³

დოკუმენტური აკრედიტივის ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს ტრანსფერაბელური²⁴ აკრედიტივი. ტრანსფერაბელურია აკრედიტივი, რომლის მიხედვითაც ბენეფიციარი (პირველი ბენეფიციარი) უფლებამოსილია აკრედიტივის ფარგლებში სხვა ბენეფიციარს (ე.წ. მეორე ბენეფიციარს) მიანიჭოს უფლება შემსრულებელი ბანკისაგან მიიღოს გადახდა, წარმოდგენილი ტრატების აქცეპტით ან ნეგოციაციით. ასეთი აკრედიტივის უპირატესობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი ექსპორტიორს აძლევს შესაძლებლობას აწარმოოს ანგარიშსწორება თავისი მიმწოდებლის (სუბმენარდის) მიმართ უშუალოდ იმ ფულადი თანხიდან, რომელიც მან უნდა მიიღოს აკრედიტივის საფუძველზე, ისე, რომ არ უწევს დამატებითი ხარჯების გადახდა თავისი ბენეფიციარებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველი ბენეფიციარი (ექსპორტიორი) მეორე ბენეფიციარისათვის აკრედიტივის გამოყენების და ტრატების განაღდებაზე უფლების მიცემით თავის კრედიტორებთან ანგარიშსწორებას ახორციელებს თავისი მოვალისაგან (აკრედიტივის დავალების მიმცემისაგან) გადახდის მიღებით.

ხელშეკრულებაში ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის გათვალისწინებულ უნდა იქნეს პირობა იმის შესახებ, რომ აკრედიტივი იქნება ტრანსფერაბელური. აკრედიტივში ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „გაყოფადი“, „დანაწევრებული“, „დათმობითი“ და „გადასაცვანი“ („transmissible“) არ გულისხმობს, რომ აღნიშნული აკრედიტივი ტრანსფერაბელურია.²⁵

საგულისხმოა, რომ უნიფიცირებული წესების 48-ე მუხლის „g“ პუნქტის მიხედვით, თუ თავად აკრედიტივში არ არის სხვა რამ გათვალისწინებული, მისი გადაყვანა შეიძლება მხოლოდ ერთხელ. შესაბამისად, მეორე ბენეფიციარმა არ შეიძლება მისაღები თანხის მოთხოვნის უფლება დაუთმოს მესამე პირს. რაც შეეხება აკრედიტივის პირველ ბენეფიციარზე უკუგადაყვანას, ეს აკრძალული არ არის.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ქვეყნების საბანკო პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ როგორც წესი, აკრედიტივის გახსნისას ბანკები არ ითხოვენ კლიენტებისაგან ფულად თანხებს აკრედიტივის ოდენობით. ფრანგული კანონმდებლობა, ისევე როგორც აშშ-ს კანონმდებლობა, ადგენს, რომ აკრედიტივი წარმოადგენს ბანკი-ემიტენტის მიერ აკრედიტივის დავალების მიმცემის დაკრედიტე-

²¹ Эриашвили (ред.), Банковское Право, Москва, 2002, 112.

²² Бабикова (за. 17), 34.

²³ Голлиберг/Воронова (ред.), Международная Торговля, Киев/Москва, 1994, 260.

²⁴ უნიფიცირებული წესების 48 და 49 მუხლები.

²⁵ იქვე, 48-ე მუხლის „b“ პუნქტი.

ბას ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უზრუნველყოფით.²⁶ ამდენად, კლიენტებთან, რომლებიც ბანკების ვალდებულებებს დროულად ასრულებენ, ბანკს სახსრების დეპონირების გარეშე შეუძლია აკრედიტივის გასახსნელად ხელშეკრულების გაფორმება. კლიენტის ანგარიშზე სახსრების დროებით უქონლობის შემთხვევაში ბანკი გარანტიას იძლევა, რომ სადებეტო ავიზოთი აკრედიტივის თანხების გადახდას განახორციელებს თავისი სახსრების ხარჯზე.²⁷

ფულადი რესურსებით უზრუნველყოფის მიხედვით აკრედიტივი შეიძლება იყოს დაფარული ან დაუფარავი. აკრედიტივი, რომლის გახსნის დროსაც ბანკი-ემიტენტი ვალდებულია გადაურიცხოს აკრედიტივის თანხა (დაფარვა შეიძლება მოხდეს აკრედიტივის დავალების მიმცემის ხარჯზე ან მისთვის მინიჭებული კრედიტის ხარჯზე) შემსრულებელ ბანკს, იწოდება დაფარულ (დეპონირებულ) აკრედიტივად. თუ აკრედიტივი არ არის დაფარული, იგი წარმოადგენს დაუფარავ, ანუ გარანტირებულ აკრედიტივს. ფაქტიურად, დაუფარავი აკრედიტივი არის გადავადებული გადახდა, როცა თანხას შემსრულებელ ბანკს ურიცხავენ არა მაშინვე, არამედ შესრულების ან აკრედიტივის მოქმედების დასრულების შემდეგ. შემსრულებელი ბანკი დაუფარავი აკრედიტივის შესრულებით ანიჭებს კრედიტს ბანკ-ემიტენტს, რაც ხშირად წარმოადგენს ორმხრივად ხელსაყრელ ოპერაციას. ბუნებრივია, რომ ასეთი დაკრედიტების საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული საკრედიტო ხარჯების ორგანიზაციასთან, და შესაბამისად, ბანკებს შორის ნდობითი დამოკიდებულების არსებობასთან. დაუფარავი აკრედიტივის შემსრულებელ ბანკს ენიჭება უფლება შესრულების შემდეგ აკრედიტივის მთელი თანხა მოხსნას მასთან გახსნილ ბანკი-ემიტენტის ანგარიშიდან (თუ მათ შორის არსებობს საკორესპონდენტო ურთიერთობები).

შესაძლებელია აკრედიტივების კლასიფიკაცია განახლებად და არაგანახლებად აკრედიტივებადაც. განახლებადია აკრედიტივი, რომელშიც გათვალისწინებულია, რომ აკრედიტივის თანხა შეიძლება განახლდეს თავად აკრედიტივის განახლების გარეშე. ასეთი აკრედიტივი შეიძლება იყოს როგორც გამოთხოვითი, ისე გამოუთხოვარი და შეიძლება განახლდეს: დროის განსაზღვრული მონაკვეთის გავლის შემდეგ; აკრედიტივის საერთო ღირებულების შეცვლის შემდეგ.²⁸ ასეთ აკრედიტივებს ზოგჯერ რევილვერულ (განახლებად) და არარევილვერულ (არაგანახლებად) აკრედიტივებსაც უწოდებენ. ამდენად, აკრედიტივი შეიძლება იყოს რევილვერული განსაზღვრულ ვადაში (როცა ხდება თანხის გარკვეული რაოდენობის, ანუ ლიმიტის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ხდება აკრედიტივიდან გადახდების განხორციელება. ასეთ დროს სპეციალურად უნდა იქნეს შეთანხმებული გამოუყენებელი ლიმიტით მომავალ პერიოდში სარგებლობა), ან განსაზღვრული თანხის ფარგლებში (ასეთ დროს განახლება გულისხმობს, რომ აკრედიტივის ლიმიტი აღდგება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გამოყენების შემთხვევაში).

აკრედიტივზე საუბრისას ცალკე უნდა გამოიყოს მისი ისეთი სახე, როგორიცაა აკრედიტივი „ნითელი დათქმით“. ასეთი შეიძლება იყოს როგორც გამოთხოვითი, ისე გამოუთხოვარი, დადასტურებული და ა.შ. აკრედიტივი. იგი ითვალისწინებს შემსრულებელი ბანკის მიერ ექსპორტიორისათვის განსაზღვრული თანხის ავანსის გადახდას სათანადო დოკუმენტების წარმოდგენამდე. დათქმა აკრედიტივში შეიძლება შეტანილ იქნეს იმპორტიორის თხოვნით. ასეთი დოკუმენტი წარმოადგენს განკარგულებას, რომლის საფუძველზეც ექსპორტიორი იღებს ავანსს შემსრულებელი ბანკისაგან ტვირთის გადატვირთვამდე. ამდენად, აკრედიტივი ნითელი დათქმით არის დაფინანსების წყარო გადატვირთვამდე. ასეთი სახის აკრედიტივის გახსნით ბანკი-ემიტენტი შემსრულებელი ბანკის წინაშე კისრულობს ვალდებულებას შემსრულებელ ბანკს აუნაზღაუროს გადახდილი

²⁶ *Folsom/Gordon/Spanoyle, International Business Transactions, West Publishing Co., 1996, Fifth Edition, 146; Гавальда/Стуфле, Банковское Право, Москва, 1996, 386.*

²⁷ *ლავრუშინა (რედ.), საბანკო საქმე, (ქართული თარგმანის რედაქტორი კაკულია), თბილისი, 1996, 81.*

²⁸ *Голлиберг/Воронова (რედ.), Международная Торговля, Киев/Москва, 1994, 255.*

სტატიები

ავანსის თანხები მაშინაც კი, როცა გადატვირთვა არ განხორციელდა. ამ ტიპის აკრედიტივის სპეციფიკური სახელწოდება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დათქმა ასეთ აკრედიტივებზე თავდაპირველად კეთდებოდა წითელი მელნით, რათა მიეპყროთ ყურადღება.²⁹

იურიდიულ ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ ე.წ. „სუფთა აკრედიტივს“ (clean credit), რომელიც ძირითადად გამოიყენება აშშ-ს და იაპონიის ბანკების მიერ.³⁰ აკრედიტივის გახსნის მომენტში წარმოიშობა ფულადი ვალდებულება, რომელიც ბანკმა შეიძლება შეასრულოს მხოლოდ აკრედიტივით ანგარიშსწორების დავალებაში გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვის შემთხვევაში. ასეთ დროს ბენეფიციარმა თანხა შეიძლება მიიღოს საქონელგანმკარგავი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამასთან, აკრედიტივის ასეთი სახე ძალიან იშვიათად გამოიყენება. მთელს მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული დოკუმენტური აკრედიტივით ანგარიშსწორების ურთიერთობები.

5. აკრედიტივით სარგებლობის სადავო საკითხები

როგორც აღინიშნა, აკრედიტივი წარმოადგენს ანგარიშსწორების საკმაოდ რთულ ფორმას. პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას არაერთი პრობლემა, რაც განმარტებას და სწორად გადაჭრას მოითხოვს. მაგალითად, მხარეები საერთაშორისო-სავაჭრო ხასიათის კონტრაქტის გაფორმებისას განსაზღვრავენ ანგარიშსწორების ფორმას, მიუთითებენ აკრედიტივის სახეს, (მაგ.: გამოუთხოვარ აკრედიტივს), ბანკი-ემიტენტის და შემსრულებელი ბანკის დასახელებას, აკრედიტივის თანხას, მისი მოქმედების ვადას და სხვა პირობებს, რომლებიც აუცილებელია ანგარიშსწორების ამ ფორმის გამოყენებისათვის. თუ იმპორტიორი გახსნის სხვა სახის აკრედიტივს (მაგ.: გამოთხოვით), სხვა ბანკში ან სხვა პირობებით და მოითხოვს ექსპორტიორისაგან ტვირთის გადატვირთვას, უნდა განისაზღვროს: ვალდებულია თუ არა ექსპორტიორი შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

მითითებული კონსტრუქცია ორმხრივი ხასიათისაა და შესაბამისად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა. ამდენად, შემძენის (იმპორტიორის) მიერ აკრედიტივის სახის, თანხის, ბანკის შეცვლა ცალმხრივად წარმოადგენს ვალდებულების უხეშ დარღვევას კონტრაპენტის წინაშე და რადგან საქონლის მიწოდება წარმოადგენს შემხვედრ სახელშეკრულებო ვალდებულებას, ექსპორტიორი უფლებამოსილია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე (საქონლის მიწოდებაზე) იმპორტიორის მიერ საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობით აკრედიტივის გახსნამდე).³¹

პრაქტიკაში ზოგჯერ წარმოიშობა სიტუაცია, როცა შემსრულებელი ბანკი, რომელმაც აკრედიტივით ანგარიშსწორება უნდა განახორციელოს, შეამონმებს ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაადგენს რომ ისინი შეესაბამება აკრედიტივის მოთხოვნებს და განახორციელებს გადახდას. ამასთან, მას შემდეგ, რაც იმპორტიორი მიიღებს მიწოდებულ საქონელს, აღმოჩნდება, რომ იგი არ შეესაბამება გამყიდველთან შეთანხმებულ პირობებს (მაგ.: მიწოდებული საქონლის ასორტიმენტი). ასეთ შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია გამყიდველისაგან მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება. ამასთან, აუცილებელია განისაზღვროს: აქვს თუ არა მას უფლებამოსილება, რომ ბანკის მიერ განხორციელებული გადახდა მიიჩნიოს აკრედიტივის დარღვევით ანგარიშსწორებად.

²⁹ იქვე: 257.

³⁰ Васильев (ред.), Гражданское и Торговое Право Капиталистических Государств, Москва, 1993, 426.

³¹ დაწვრილებით იხ.: Обзор Практики Рассмотрения Споров, Связанных с Использованием Аккредитивной и Инкассовой Форм Расчётов, Информационное письмо от 15 января 1999, №39 Вестник Высшего Арбитражного Суда РФ. 1999, № 4, 47.

სტატიები

თუ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს, ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია გამყიდველისაგან მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, მაგრამ მას არა აქვს უფლება ბანკის მიერ განხორციელებული გადახდა მიიჩნიოს უსაფუძვლოდ. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ბანკის ვალდებულებას წარმოადგენს ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მხოლოდ გარეგნული შემოწმება. თუ იგი მიიჩნევს, რომ ისინი სრულიად შეესაბამება აკრედიტივის პირობებს, მის მიერ წარმოებული ანგარიშსწორება ითვლება აკრედიტივის ზუსტ შესაბამისობაში განხორციელებულ გადახდად.³²

აკრედიტივით ანგარიშსწორების ურთიერთობაში ზოგჯერ ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა შემსრულებელი ბანკი ბენეფიციარს (ექსპორტიორს) უსაფუძვლოდ ეუბნება უარს გადახდაზე. ასე მაგალითად, თუ გახსნილია დადასტურებული გამოუთხოვარი აკრედიტივი და შემსრულებელი ბანკი ბენეფიციარს ეუბნება უარს ბანკი-ემიტენტის მიერ აკრედიტივის გამოთხოვის მოტივით (რაც ასეთი ტიპის აკრედიტივისათვის დაუშვებელია), ასეთი უარი უსაფუძვლოა, რადგან ექსპორტიორის მიერ აკრედიტივით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში მისი ვალდებულება აკრედიტივით განსაზღვრული თანხის გადახდა, მაგრამ თუ იგი გადააცილებს გადახდის ვადას, მას დაეკისრება როგორც აკრედიტივის თანხის, ისე გადაცილებული ვადისათვის პროცენტის გადახდაც.

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა განისაზღვროს, აკრედიტივის მოქმედების ვადის გასვლა წარმოადგენს თუ არა შემსრულებელი ბანკისათვის თანხის გადახდაზე უსაფუძვლო უარის თქმისას პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს. ზოგჯერ წარმოიშობა სიტუაცია, როცა შემსრულებელი ბანკი ბენეფიციარს ეუბნება უარს თანხის გადახდაზე ისე, რომ უარის მიზეზზე დუმს, არადა დოკუმენტაცია ბენეფიციარის მიერ ბანკში წარმოდგენილი იყო აკრედიტივის ვადის ამონურვამდე, უკვე ამის შემდეგ კი აკრედიტივის მოქმედების ვადა ვადის. როგორც ცნობილია, აკრედიტივის მოქმედების ვადის გასვლა წარმოადგენს მის საფუძველზე ანგარიშსწორების ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს, მაგრამ თუ ექსპორტიორის მიერ აკრედიტივით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ბანკში წარმოდგენილ იქნა აკრედიტივის ვადის ამონურვამდე, ასეთ დროს ვადის გასვლა არ წარმოადგენს შემსრულებელი ბანკის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს.

7. დასკვნა

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დოკუმენტური აკრედიტივი წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების მეტად საიმედო და მოსახერხებელ ფორმას. ამასთან, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ანგარიშსწორების ეს სახე იმავდროულად არის მეტად რთული და ძვირადღირებული.³³ აკრედიტივის გამოყენება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში საკმაოდ რთულია როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური კუთხით. ამასთან, თუ აკრედიტივის შესრულებაში მონაწილეობს რამდენიმე ბანკი, აკრედიტივის დავალების მიმცემს საბოლოოდ უწევს ყველა უფლებამოსილი ბანკის ხარჯების ანაზღაურება. როგორც წესი, ასეთი ხარჯების გადახდა ხდება აკრედიტივის თანხიდან ფიქსირებული პროცენტის გადახდევინებით ნებისმიერი ოპერაციისათვის, მაგალითად, აკრედიტივის გახსნის, ავიზოს გაგზავნის, დადასტურების, აკრედიტივით გათვალისწინებული დოკუმენტების შემოწმებისათვის და ა.შ.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აკრედიტივის პრიორიტეტულობა პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ოპერაციაში მონაწილე ბანკების აკრედიტივით ანგარიშსწორების სათანადო გამოცდილებასთან და კორესპონდენტი ბანკების ფართო ქსელის არსებობასთან. ასეთ პირობებში ოპერაციების სირთულე მინიმუმამდეა დაყვანილი.

³² იხ.: იქვე.

³³ Красавина (ред.), Международные Валютно-Кредитные и Финансовые Отношения, Москва, 1994, 240.

სტატიები

დოკუმენტური აკრედიტივის, როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმის საიმედოობას მონიშნავს შემდეგი გარემოებები:

-აკრედიტივი მეტად მოქნილი ინსტიტუტია და იძლევა საშუალებას გარიგების ყველა მხარის ინტერესები იქნეს მიღებული მხედველობაში. ამის მაგალითია, როგორც ტრანსფერაბელი აკრედიტივი, ისე აკრედიტივის დავალების მიმცემისათვის აკრედიტივის გახსნისას კრედიტის მიღების შესაძლებლობის მიცემა. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, გადახდა განხორციელდეს მინიმალურ ვადებში, ისე რომ ფულადი სახსრები არ იქნება ბრუნვიდან ამოღებული;

-გარდა ამისა, ბენეფიციარის (ექსპორტიორი) უფლება განსაზღვროს შემსრულებელი ბანკი (რომელიც, როგორც წესი, არის ბენეფიციარის ქვეყნის ბანკი), ამცირებს მონოდებული საქონლის (განეული მომსახურების) აუნაზღაურებლობის რისკს, რადგან ბენეფიციარი ფლობს ამ ბანკის შესახებ სათანადო ინფორმაციას და ენდობა მას;

-აკრედიტივის საფუძველზე ექსპორტიორს შეუძლია მიიღოს გადახდა მაქსიმალურად მოკლე ვადაში (საქონლის დანიშნულების პუნქტში გადაზიდვამდე);

-თავის მხრივ, აკრედიტივი უზრუნველყოფს იმპორტიორის მიერ საქონლის მიღებას იმ პირობით, რომ, მართალია, ბანკი არ აკონტროლებს საქონლის მოძრაობას, მაგრამ მკაცრად ამონიშნავს ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების აკრედიტივის პირობებთან შესაბამისობას, რაც მონიშნავს საქონლის გადატვირთვას.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საერთაშორისო ხასიათის საანგარიშსწორებო ურთიერთობებში დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენება არც თუ ისე ხშირად ხდება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ოპერაცია ხელსაყრელია ურთიერთობის ყველა მონაწილესათვის, რომლებსაც შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრონ აკრედიტივის სახე, რომლის საფუძველზეც მოხდება ანგარიშსწორება. ამასთან, საქართველოში ცივილიზებული ბაზრის ჩამოყალიბების და მის მონაწილეთა პროფესიონალიზმის გაზრდის შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მომავალში აკრედიტივით ანგარიშსწორების ფორმა სულ უფრო ფართო გამოყენებას ჰპოვებს.